

მეხუთე სექცია

კაშაველოვი ბულგარეთის წინააღმდეგ

(CASE OF KASHAVELOV v. BULGARIA)

(განაცხადი no. 891/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

20 იანვარი 2011

საბოლოო ვერსია

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე Kashavelov v. Bulgaria

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეხუთე სექცია), რომელიც შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან:

პიერ ლორანცენი, პრეზიდენტი,

რენატე ჯაგერი,

რაიტ მარუსტე,

იზაბელ ბერო-ლეფევრი,

მირიანა ლაზაროვა ტრაკოვსკა,

განა იუდკივსკა, მოსამართლე,

პავლინა პანოვა, ad hoc მოსამართლე,

და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა განმარტოებით 2010 წლის 14 დეკემბერს

და ამავე დღეს გამოიტანა გადაწყვეტილება:

პროცედურა საქმე დაიწყო განაცხადით (No. 891/05) ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს წარუდგინა ბულგარეთის მოქალაქემ, ბ-ნმა ივო სტეფანოვ კაშაველოვმა („განმცხადებელი“) 2004 წლის 7 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად.

1. ბულგარეთის მთვრობას („მთავრობა“) წარმოადგენდნენ მისი აგენტები – ქ-ნი ს. ათანასოვა და ქ-ნი მ. კოცევა, იუსტიციის სამინისტროდან. განმცხადებელმა განაცხადა, რომ არ სურს ჰყავდეს წარმომადგენელი და მიეცა უფლება, თავად წარმოედგინა თავი (სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი).
2. 2009 წლის 30 ივნისს სასამართლომ განაცხადი გამოაცხადა ნაწილობრივ დაუშვებლად და გადაწყვიტა მთავრობისათვის ეცნობებინა სარჩელის აღძვრის შესახებ – სოფიის ციხეში განმცხადებლის პატიმრობის პირობებთან, სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არარსებობასთან დაკავშირებით. მან ასევე გადაწყვიტა, რომ თანადროულად განეხილა განაცხადის დარჩენილი ნაწილის დაშვებადობის საკითხი და საქმის არსებითი მხარე (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 2010 წლის 1 ივნისის ტექსტით).
3. ზდრაჟკა კალაიჯიევა, ბულგარეთის არჩეული მოსამართლე, არ მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში. შესაბამისად, პალატის პრეზიდენტმა პავლინა პანოვა

დანიშნა როგორც ad hoc მოსამართლე (კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი და რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

4. განმცხადებელი დაიბადა 1964 წელს და ამჟამად იმყოფება სამუდამო პატიმრობაში სოფიის ციხეში.

A. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ

5. 1996 წლის 5 აგვისტოს განმცხადებელი დააკავეს ეჭვის საფუძველზე, რომ მან მოიტაცა ადამიანი. 1996 წლის 14 აგვისტოს მას ბრალი წაუყენეს ამ დანაშაულისათვის, 1996 წლის სექტემბერში – პოლიციის სამი ოფიცრის მკვლელობისათვის, ხოლო 1997 წლის 4 ივნისს კი – სულ მცირე, ათი სხვა დანაშაულისათვის.
6. 1998 წელს, განუსაზღვრელ დღეს, საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებმა ოფიციალურად წაუყენეს ბრალი განმცხადებელს სოფიის საქალაქო სასამართლოში. თუმცა, 1998 წლის 18 სექტემბერს მომხსენებელმა მოსამართლემ უკან დააბრუნა საქმე, გამოავლინა რა დარღვევები იმაში, თუ როგორ წარუდგინეს განმცხადებელს ზოგიერთი ბრალდება და მტკიცებულება.
7. 1998 წლის 12 ოქტომბერს საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებმა სოფიის საქალაქო სასამართლოს წარუდგინეს ოფიციალური ბრალდება განმცხადებლისა და სამი სხვა პირის მიმართ. ბრალდება მოიცავდა პოლიციის სამი ოფიცრის მკვლელობას, მკვლელობის რამდენიმე მცდელობას, ქურდობას, ყაჩაღობას, თავისუფლების უკანონო წართმევასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობას. 1998 წლის 29 დეკემბერს მომხსენებელმა მოსამართლემ ჩანიშნა საქმის სასამართლო განხილვა 1999 წლის მაისის რამდენიმე დღეს.
8. სოფიის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, სულ მცირე, შვიდი მოსმენა 1999 წლის მაისიდან 2000 წლის 8 მარტამდე. ამ უკანასკნელ დღეს განმცხადებელს ბრალად დაედო მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით, ხულიგნობა, შეიარაღებული ყაჩაღობის მცდელობა, თავისუფლების წართმევა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობა, ხოლო დანარჩენ ბრალდებებში სასამართლომ განმცხადებელი გაამართლა. სასამართლომ განმცხადებელს მიუსაჯა უვადო პატიმრობა გადასინჯვის გარეშე და ბრძანა, რომ სასჯელის მოხდა დაეწყო უმკაცრესი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში (ე.წ. „განსაკუთრებული რეჟიმი“ – იხ. ქვემოთ, პუნქტი 21).
9. აპელაციაზე სოფიის სააპელაციო სასამართლომ გამართა, სულ მცირე, ხუთი მოსმენა. უკანასკნელი მოსმენა გაიმართა 2002 წლის 14 იანვარს. 2003 წლის 10 თებერვალს მან ნაწილობრივ შეცვალა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გაამართლა განმცხადებელი ერთ-ერთ ბრალდებაში – კერძოდ, შეიარაღებული ყაჩაღობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო

ფლობაში – და გადააკვალიფიცირა კიდევ ერთი ბრალდება. მან გაამართლა გადაწყვეტილების დარჩენილი ნაწილი, მათ შორის, განმცხადებლის განაჩენი.

10. 2004 წლის 27 თებერვალს კასაციის უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა სოფიის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის, ყაჩაღობის მცდელობის ბრალდებასთან დაკავშირებით. მან გაამართლა გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილი, მათ შორის, განმცხადებლის განაჩენი.
11. ხელახალი განხილვისას სოფიის სააპელაციო სასამართლომ გამართა, სულ ცოტა, ორი მოსმენა. 2004 წლის 31 აგვისტოს მან დაამტკიცა სოფიის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გაამართლა განმცხადებელი შეიარაღებული ყაჩაღობის მცდელობის ბრალდებაში. გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ და ის გახდა საბოლოო 2004 წლის 6 ოქტომბერს.

B. განმცხადებლის პატიმრობა სოფიის ციხეში

12. 1997 წლის 7 თებერვალს განმცხადებელი გადაიყვანეს ეროვნული საგამოძიებო სამსახურის პატიმრობის ცენტრში, 1997 წლის 2 დეკემბერს კი – სოფიის ციხეში. 1997-2004 წლებში ის იმყოფებოდა იქ, როგორც თავისუფლებაღკვეთილი პირი, რომელიც ელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას მის წინააღდეგ წაყენებულ სისხლის სამართლის ბრალდებებზე. 2004 წლის 17 ნოემბრიდან იგი დარჩა იმავე ციხეში საბოლოო განაჩენის – უვადო პატიმრობის მოსახდელად.
13. 1997 წლის 4 დეკემბერს, შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით (იხ. ქვემოთ პუნქტები 17 და 18) და საგამოძიებო ხელისუფლების მითითების გათვალისწინებით – სადაც ის აღწერდა განმცხადებლის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, მის ხასიათს და აფასებდა იმ რისკს, რომელიც შეიძლებოდა შეექმნა ციხის თანამშრომლებისათვის – ციხის მმართველმა ბრძანა, რომ განმცხადებელი მოეთავსებინათ მსჯავრდებულთა იზოლირებულ ჯგუფთან ერთად, რომლებზეც ვრცელდებოდა უსაფრთხოების უმკაცრესი ზომები და ეკრძალებოდათ მონაწილეობა საერთო საქმიანობებში. 1999 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით კი განმცხადებლისათვის უნდა დაედოთ ხელბორკილები ყოველ ჯერზე, როცა კი მას გამოაცალკევებდნენ ამ ჯგუფისაგან. მთავრობის განცხადებით, განმცხადებელს ხელბორკილებს ადებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა გაჰყავდათ იმ შენობიდან, სადაც ჯგუფი იმყოფებოდა – ღია ცის ქვეშ აქტივობებისათვის, ციხის ექიმთან, სტომატოლოგთან ან ბიბლიოთეკაში, ან როცა მასთან მიდიოდა მნახველი თუ ადვოკატი. მას ჰქონდა უფლება, ევარჯიშა იზოლირებულ ეზოში.

ამის საწინააღმდეგოდ, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას ხელბორკილს ადებდნენ ყოველთვის, როცა კი გადიოდა თავისი საკნიდან.

14. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას მარტო კეტავდნენ საკანში, რომლის ზომაც იყო 1,9მx4.05მ. საკნის დატოვება შეეძლო მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში ყოველდღიური სეირნობისას. ციხეში ყოფნის პირველი რვა თუ ცხრა თვე იგი სასეირნოდ გადიოდა მარტო. ამის შემდეგ მას დართეს ნება, შეერთებოდა ერთ ან ორ სხვა უვადო პატიმარს, მაგრამ უკრძალავდნენ მათთან ლაპარაკს. 2001 წლის ოქტომბრიდან ის კვლავ მარტო სეირნობდა კონკრეტულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, ფართობით 6,7მx11მ, რომელიც შემოფარგლული იყო მავთულხლართებით. ამის გარდა, განმცხადებელს საკნის დატოვების ნებას რთავდნენ მხოლოდ სანიტარული მიზნებით, განსაზღვრულ დროს, ხუთიდან ათ წუთამდე, დღეში ორჯერ. მისი თქმით, მხოლოდ ამ დროს შეეძლო მიეღო სასმელი წყალი. მოგვიანებით მას ნება დართეს, მეტი დრო დაეთმო სანიტარული მიზნებისათვის. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ციხეში ყოფნის პირველი ექვსი თვის მანძილზე მას აკლებდნენ ერთ-ერთ კვებას ყოველ ოთხ დღეში. ასევე პატიმრობის პირველ პერიოდში, დაახლოებით წელიწად-ნახევარს, არ აძლევდნენ ნებას, გამოეყენებინა საკუთარი ზეწარი და ბალიში.

15. მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებებს და აცხადებდა, რომ განმცხადებელი არ იყო სერიოზულად იზოლირებული მისი ჯგუფიდან. მთავრობა აღნიშნავდა, რომ „სპეციალური რეჟიმიდან“ გამომდინარე (რომელსაც ის ექვემდებარებოდა) რამდენიმე შეზღუდვის გარდა, იგი სარგებლობდა ყველა იმ შესაძლებლობით, რაც ჰქონდათ მის თანამესაკნეებს – როგორცაა მუშაობის შესაძლებლობა, თავისუფალი მიწვდომა ჯანმრთელობისა და სტომატოლოგიურ მკურნალობაზე, ბიბლიოთეკასა და ეკლესიაზე, ასევე, მნახველების, ამანათების, სატელეფონო ზარებისა და წერილების მიღების უფლება და სხვა. მთავრობას მოჰყავდა ციტატა ციხის მმართველის შენიშვნიდან, რომლის თანახმადაც:

„[განმცხადებელი] ძალიან მტრულად არის განწყობილი ბულგარეთის რესპუბლიკის სამართლებრივი წესრიგის მიმართ. ის არ ცნობს თავის დამნაშავეობასა და განაჩენს და მიაჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოება მის მიმართ ჩატარდა უსამართლოდ და მიკერძოებულად. ის სრულიად გულგრილად ეკიდება სხვებს და იქცევა ბრაზიანად და უხეშად, როცა უახლოვდებიან. ციხის თანამშრომლების მიმართ ძალიან უნდო, ეჭვიანი და მტრული დამოკიდებულება აქვს. ფეთქებადი ხასიათი, შეუნიღბავი სისასტიკე და მტრული განწყობა, ასევე ნერვული დამაბულობა, განსაკუთრებით საშიშსა და გაუთვალისწინებელს ხდის მას. მისი ჯგუფიდან სხვა თანამცხოვრებთა მიმართ დამოკიდებულებაც დიდად არ განსხვავდება ზემოთ აღწერილისაგან. ის უარს ამბობს სხვებთან სოციალიზაციაზე, ეზიზღება ყველა და ყველაფერი. ცალკეულ შემთხვევებში იგი ეკონტაქტება ჰიგიენისტთა ჯგუფის წარმომადგენლებს, როცა ეს საჭიროა. უარს ამბობს საერთო აქტივობებში მონაწილეობაზე. რამდენიმე შემთხვევაში მას შესთავაზეს სამუშაო,

რაზეც მკვეთრი უარი განაცხადა. როცა გარეთ გაჰყავთ ვიზიტორების მოსანახულებლად – ან ბევრი ხალხის თანდასწრებით – ის ხმამაღლა აკეთებს ნეგატიურ შეფასებებს სასამართლოსა და ციხის ადმინისტრაციის მიმართ. ის ხშირად იმეორებს თავის „დასაცავ სიტყვას“ გაშიშვლებულ მდგომარეობაში, მისსავე საკანში“.

16. განმცხადებელი აპროტესტებს ამ განცხადებებს და შენიშნავს, რომ მმართველს არ მოჰყავს კონკრეტული ფაქტები ნათქვამის დასადასტურებლად.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

A. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

17. მოცემული დროისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების რეჟიმი რეგულირდებოდა 1993 წელს დადგენილი საკანონმდებლო დებულებებით (*Наредба № 12 от 15 април 1993 г. за положението на обвиняемите и подсъдимите в местата за лишаване от свобода*). 1999 წლის მაისში ისინი შეცვალა მსგავსმა საკანონმდებლო დებულებებმა (*Наредба № 2 от 19 април 1999 г. за положението на обвиняемите и подсъдимите с мярка за неотклонение задържане под стража*), რაც ძალაში რჩებოდა 2006 წლის სექტემბრამდე.

18. 1999 წლის საკანონმდებლო დებულებებიდან დებულება 15(1)(3), რომელიც შეცვალა 1999 წლის დებულებამ 14(3), ითვალისწინებს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება მოთავსდეს ჩაკეტილ საკანში და აეკრძალოს საერთო აქტივობებში მონაწილეობა, უსაფრთხოების რისკიდან გამომდინარე. ეს ზომა შეიძლება მიიღოს ციხის მმართველმა, რომელსაც შეხება აქვს თავისუფლებააღკვეთილი პირის პიროვნულ თვისებებსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან და იცის, რამდენად სახიფათო იყო დანაშაული, რომლის გამოც მას აღეკვეთა თავისუფლება. 1993 წლის საკანონმდებლო დებულებათგან დებულება 15(3), რომელიც 1999 წელს შეცვალა დებულებამ 15, *in fine* ითვალისწინებს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა ამგვარი ზომა, უნდა იყოს იზოლირებული ციხის დანარჩენი ბინადრებისაგან ყოველ ჯერზე, როცა კი გამოჰყავთ თავისი საკნიდან, იქნება ეს გადაყვანა სასამართლოში, სამედიცინო საჭიროება, მნახველთა მიღება, ღია ცის ქვეშ აქტივობები თუ სხვა.

B. რეჟიმი სამუდამო პატიმრებისათვის

19. 2009 წლამდე სამუდამო პატიმრებისათვის რეჟიმი რეგულირდებოდა კანონით დასჯის აღსრულების შესახებ (1969) (*Закон за изпълнение на наказанията*) და საკანონმდებლო დებულებებით – მისი განხორციელებისათვის. 2009 წლის ივნისსა და 2010 წლის თებერვალში იგი, შესაბამისად, შეცვალა კანონმა დასჯის აღსრულებისა და წინასწარი პატიმრობის შესახებ (*Закон за изпълнение на наказанията и задържането под стража*) და საკანონმდებლო დებულებებმა მისი განხორციელებისათვის.
20. სამუდამო პატიმრების რეჟიმს არეგულირებდა თავები 127a-127e 1969 წლის კანონიდან, რომლებიც კანონს დაემატა 1995 წლიდან. თავი 127b(1) მიხედვით, სამუდამო პატიმრობის მისჯისას სასამართლომ უნდა გამოსცეს ბრძანება, რომ მსჯავრდებული მოათავსონ უმკაცრესი რეჟიმის პირობებში, რასაც ეწოდება „განსაკუთრებული რეჟიმი“. ამგვარ რეჟიმში მოხვედრილი პირები უნდა იყვნენ სამართლო საკნებში, გაძლიერებული უსაფრთხოების ზომებისა და ზედამხედველობის პირობებში (დებულება 56(1), განხორციელების საკანონმდებლო დებულებებიდან). ამ დებულებებს ამყარებდა 2009 წლის კანონი (თავები 61(1), 71(2) და 198(1)) და 2010 წლის საკანონმდებლო დებულებები (დებულება 213). დებულება 213 დამატებით ითვალისწინებს, რომ სამუდამო პატიმრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთო აქტივობებში მხოლოდ მისივე კატეგორიის პატიმრებთან ერთად. 214-ე დებულების თანახმად, ისინი იზოლირებულად უნდა იყვნენ განთავსებულნი ციხის დანარჩენ ბინადართაგან, როცა გამოჰყავთ თავიანთი საკნებიდან სადმე გადასაყვანად – სამედიცინო მიზნებით, შეხვედრებისათვის, ღია ცის ქვეშ აქტივობებისათვის და სხვა.
21. 1969 წლის კანონის თავი 127b(2), რომელიც შეცვალა 2009 წლის კანონმა, თავი 198(1), ითვალისწინებდა, რომ კარგი ქცევის შემთხვევაში, სამუდამო პატიმრები ხუთი წლის შემდეგ შეიძლება გადაიყვანონ უფრო მსუბუქ რეჟიმზე. წინასწარი პატიმრობის ხანა არ შეადგენს ამ პერიოდის ნაწილს (დებულება 167(2) – 1969 წლის კანონის განხორციელების საკანონმდებლო დებულებებიდან, რომლებიც შეცვალა 2009 წლის კანონის განხორციელების საკანონმდებლო დებულებებმა; დებულება 218). სამუდამო პატიმრის უფრო მსუბუქ პირობებში გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებს ციხის თანამშრომელთა და სხვა ოფიციალურ პირთაგან შედგენილი კომისია (1969 წლის კანონის თავი 17, რომელიც შეცვალა 2009 წლის კანონის 73-ე და 74-ე თავებმა). 1969 წლის კანონის 58-ე თავის მიხედვით, კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება შეცვალოს იუსტიციის სამინისტრომ. 2009 წლის კანონის 74(2) თავის თანახმად, შეიძლება გადაიხედოს მხოლოდ

გადაწყვეტილება მსჯავრდებულის უფრო მკაცრ პირობებში გადაყვანის შესახებ, სამართლებრივი განხილვის შედეგად. უფრო მსუბუქი რეჟიმის პირობებში, სამუდამო პატიმრები შეიძლება მოთავსდნენ ციხის დანარჩენ ბინადრებთან ერთად, გარკვეული პირობების დაცვით (1969 წლის კანონის თავი 127 b(4), რომელიც შეცვალა 2009 წლის კანონმა, თავი 198(2)).

III. წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღმკვეთი ევროპული კომიტეტის („CPT“) ანგარიშები

22. CPT-მ თავისი ვიზიტი ბულგარეთში განახორციელა შვიდჯერ. სოფიის ციხეში იყო 2006 და 2008 წლებში.

23. 2006 წლის ვიზიტის ანგარიშში (CPT/Inf (2008) 11) წერია:

„101. სოფიის ციხეში იყო 15 სამუდამო პატიმარი; ორი მათგანი ცხოვრობდა ციხის ძირითად ბინადრებთან ერთად, ხოლო დანარჩენები იყვნენ განცალკევებულად იმ ნაწილში, რომელსაც იყენებენ დისციპლინურ იზოლატორად... განცალკევებულ ნაწილში სამუდამო პატიმრები მოთავსებულნი იყვნენ სამართლო საკნებში, ზომით 6,5 კვ.მ; საკნებს ჰქონდა პატარა, გისოსებიანი ფანჯრები, რომლებიც იმდენად მაღლა იყო კედელზე, რომ გარეთ ვერ გაიხედავდით. სან.კვანძი მოთავსებული იყო ოთახშივე, რაც კიდევ უფრო ავიწროებდა საკნის ფართობს; თუმცა, საკნები აღჭურვილი იყო სათანადო საძილე საშუალებებით ერთი ადამიანისათვის და ამ მსჯავრდებულებს სთავაზობდნენ სხვადასხვა საქმიანობას საკნის გარეთ, დღის განმავლობაში.

თუმცა, [ორ სხვა ციხეში] ნანახი სიტუაციისაგან განსხვავებით, სოფიის ციხეში შესამჩნევია საერთო აქტივობების ნაკლებობა. მსჯავრდებულები ჩაკეტილი არიან მათ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქვთ ვარჯიში ღია ცის ქვეშ (სოფიის ციხეში 1,5 საათი სხვა ბინადრების მსგავსად), რასაც არა ყველა, არამედ ოთხი სამუდამო პატიმარი ასრულებს ერთად. ჯგუფურ აქტივობათა ნაკლებობის დასასაბუთებლად ვერ გამოდგება უსაფრთხოების მომიჯნავება მაშინ, როცა სამუდამო პატიმრები ისედაც ერთად ვარჯიშობენ. დელეგაციას უთხრეს, რომ იგეგმება ჯგუფური ოთახის შექმნა, რომელშიც სამუდამო პატიმრები იურთიერთებენ და დაკავდებიან სხვადასხვა აქტივობით, და რომ ასეთი ოთახი გაიხსნება უახლოეს მომავალში. აქტივობები შენობის შიგნით მოიცავს ტელევიზორის ყურებას და ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების კითხვას, ასევე, ყოველდღიური გაზეთების გაცნობას. გარდა ამისა, ცხრა სამუდამო პატიმარი მუშაობდა თავიანთ საკნებში (ამზადებდნენ სასაჩუქრე ჩანთებს). ერთი მსჯავრდებული, რომელსაც

გაესაუბრა დელეგაცია, ჩიოდა, რომ მას უარი უთხრეს კომპიუტერის ქონაზე საკანში, რათა დაემუშავებინა კომპიუტერის შესასწავლი კურსი.

6 სამუდამო პატიმრები, რომლებმაც უარი განაცხადეს ერთობლივ ვარჯიშზე, სხვებისგან გამოაცალკევეს ბრძანების საფუძველზე, 6 თვეში ერთხელ რომ განიხილებოდა. ყოველთვის, როცა ისინი გამოჰყავდათ საკნიდან, ადებდნენ ხელბორკილებს, მათ შორის, დაცულ ეზოში მარტო ვარჯიშისას. CPT-ს აზრით, ვერაფრით გამართლდება მსჯავრდებულთათვის ხელბორკილების დადება, როცა ისინი მარტო სეირნობენ დაცულ ეზოში, იმის გათვალისწინებით, რომ იქ საკმარისად არიან ზედამხედველები. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ბულგარეთის ხელისუფლებებმა გადახედონ არსებულ პოლიტიკას სამუდამო პატიმრებისათვის ხელბორკილების დადებასთან დაკავშირებით, მოცემული შენიშვნების შუქზე“.

24. 2008 წლის ვიზიტის ანგარიში (CPT/Inf (2010) 29) ამბობს:

„74. ვიზიტის მომენტისათვის სოფიის ციხეში იმყოფებოდა 18 სამუდამო პატიმარი. სამი მათგანი მოთავსებული იყო სხვა მსჯავრდებულ ბინადრებთან ერთად მაშინ, როცა დანარჩენები იმყოფებოდნენ განცალკევებულ ერთეულში (ჯგუფი I).

75. მატერიალური პირობები სამუდამო პატიმრებისათვის განკუთვნილ ერთეულში ძირითადად იგივე რჩება, რაც იყო 2006 წლის ვიზიტისას... საკანში სან.კვანძების ინტეგრირება ტუალეტით, შხაპითა და ცხელი წყლით მთელი დღის განმავლობაში, პოზიტიური შტრიხია; თუმცა, შედეგად, მსჯავრდებულებს მოაკლდათ შესაძლებლობა, გავიდნენ თავიანთი საკნებიდან და იურთიერთონ პერსონალთან.

ზოგიერთ სამუდამო პატიმარს საკანში აქვს თავისი ტელევიზორი და კომპიუტერული თამაშები („პლეი სთეიშენი“). 2006 წლის ვიზიტისას, ზოგიერთ მსჯავრდებულს საკანში ჰქონდა ქურა საკვების მოსამზადებლად, რაც ზრდიდა მათი დამოუკიდებლობის შეგრძნებას და ეხმარებოდა დროის გაყვანაში. ქურები გაიტანეს საკნებიდან, როგორც თქვეს, ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე, უსაფრთხოების მიზნით და სამუდამო პატიმრებს დაუტოვეს მადულარა წყლის გასაცხელებლად.

76. რაც შეეხება აქტივობებს, 2006 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება სამუდამო პატიმართა ნაწილში სოციალური ოთახის („კლუბის“) ამოქმედება. ეს არის ოთახი სასიამოვნო ღია ფერებში, ავეჯით გაწყობილი. კერძოდ, აქ არის წიგნების თაროები, ჭადრაკის მაგიდა და ორი სკამი, დიდი მაგიდა, გარშემო შემოწყობილი ხუთი სკამით, კარადა სხვადასხვა სათამაშოთი – მათ შორის, ნარდით – ტელევიზორი DVD ფლეერით და ნიჟარით. სამუდამო პატიმრები დაყოფილნი იყვნენ სამ ქვეჯგუფად, საერთო ინტერესების მიხედვით (კარტის, ჭადრაკის თამაში, სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა და სხვა.) და თითოეულ ჯგუფს ეძლეოდა ერთი საათი სოციალურ ოთახში

სამყოფად, სადაც დღეებში. შაბათ-კვირას მხოლოდ ორი თანამშრომელი რჩებოდა ოთახში, რაც ართულებს აქტივობების ორგანიზებას სოციალურ ოთახში.

სამუდამო პატიმრები, რომლებსაც მუშაობის სურვილი ჰქონდათ (15-დან 12 მსჯავრდებული სამუდამო პატიმართა ნაწილიდან), მუშაობდნენ თავიანთ საკნებში ისეთსავე პირობებში, როგორც იყო 2006 წლის ვიზიტისას (მაგ: თასმების შებმა სასაჩუქრე ჩანთებისათვის).

ამას გარდა, ყველა სამუდამო პატიმარს შეეძლო 1,5 საათით ევარჯიშა ღია ცის ქვეშ. დელეგაცია შენიშნავს, რომ ეზოს ერთ ბოლოში ჰქონდათ ფანჩატური.

სოციალური ოთახის შემოღებამ, რაც ზემოთ აღინიშნა, გაზარდა საკნებს გარეთ გატარებული დროის შუალედი და მსჯავრდებულთა ურთიერთობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, სამუდამო პატიმართა ყოველდღიური რეჟიმი მაინც მონოტონური რჩება. CPT იძლევა რეკომენდაციას, რომ ბულგარეთის ხელისუფლებებმა სცადონ სოფიის ციხეში სამუდამო პატიმართა აქტივობების პროგრამის გაუმჯობესება, საჭიროების შემთხვევაში – პერსონალის გაზრდაც.

77. სამუდამო პატიმართათვის განკუთვნილ ნაწილში დასაქმებულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ბინადართაგან ორი მისჯილი სამუდამო ვადის პირველ ხუთ წელიწადს იხდიდა და, ამდენად, მათზე ვრცელდებოდა განსაკუთრებით მკაცრი შეზღუდვები. ორ სამუდამო პატიმარს უკეთებდნენ ხელბორკილებს და არ ჰქონდათ ტელევიზორის ყურების უფლება. დირექტორის უფლებამოსილებაში შედიოდა ხელბორკილების დადების მიზანშეწონილობის გადახედვა, თუმცა, არ იყო დაწესებული რაიმე რეგულარული დროის შუალედი არც მათ გამოყენებაზე და არც გამოყენების მიზანშეწონილობის გადახედვაზე.

როგორც უკვე აღინიშნა 2006 წლის ვიზიტის ანგარიშში, CPT მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მსჯავრდებულთათვის ხელბორკილების რეგულარულად დადების დასაბუთება, როცა ისინი უსაფრთხო გარემოში იმყოფებიან და უზრუნველყოფილია პერსონალის მხრიდან სათანადო მეთვალყურეობა. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ბულგარეთის ხელისუფლებებმა გადახედონ სამუდამო პატიმართათვის ხელბორკილების დადების პოლიტიკას, როცა ისინი იმყოფებიან თავიანთი საკნების მიღმა.

78. CPT-მ წარსულში გამოხატა სერიოზული შეშფოთება არსებული სამართლებრივი დებულებების გამო, რომელთა თანახმადაც, სამუდამო პატიმრები სისტემატურად ექცეოდნენ მკაცრი და განცალკევებული რეჟიმის ქვეშ პატიმრობის პირველ პერიოდში (ანუ 5 წელიწადს), იმ სასამართლოს ბრძანებით, რომელმაც გამოიტანა განაჩენი. ეს

მიდგომა ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ პრინციპს, რომ მსჯავრდებულებს ციხეში აგზავნიან სასჯელის სახით და არა სასჯელის მისაღებად.

კომიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს იმ საკითხს, რომ ზოგიერთი მსჯავრდებულისათვის, შესაძლოა, არც იყოს აუცილებელი სპეციალური უსაფრთხოების რეჟიმის ქვეშ ყოფნა გარკვეული ხნის განმავლობაში. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების უფლება, დააწესონ თუ არა ასეთი ზომები, უნდა დაეკისროს ციხის ხელისუფლებებს რისკის ინდივიდუალურად შეფასების საფუძველზე და უნდა გამოიყენებოდეს უმოკლესი დროის შუალედში. სპეციალური უსაფრთხოების რეჟიმი უნდა განიხილებოდეს როგორც ციხის მენეჯმენტის ერთგვარი საშუალება და არა სისხლის სამართლებრივი სანქციების კატალოგის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც აწესებს სასამართლო.

ბევრ ქვეყანაში სამუდამო პატიმრები არ ითვლებიან აუცილებლად უფრო საშიშებად, ვიდრე სხვა მსჯავრდებულები; ბევრი მათგანი დაინტერესებულია, რომ ჰქონდეს სტაბილური და უკონფლიქტო გარემო. ამდენად, მიდგომა სამუდამო პატიმართა მიმართ უნდა გამომდინარეობდეს რისკისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასებით, რათა გადაწყვეტილებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სხვებთან კონტაქტის ხარისხის ჩათვლით, გადაწყდეს თითოეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად.

რამდენადაც სამუდამო პატიმრები არ უნდა იყვნენ სისტემატურად განცალკევებულნი სხვა პატიმართაგან, შესაძლებელია სპეციალური დებულებები, რითაც დაეხმარებიან სამუდამო პატიმრებსა და სხვა გრძელვადიან პატიმრებს – გაუმკლავდნენ ციხეში გასატარებელი წლების პერსპექტივას. ამ თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ ციხის ევროპული წესების წესი 103.8, რომელიც ადგენს, რომ „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუდამო პატიმრებისათვის სათანადო გეგმისა და რეჟიმის შემუშავებას“, რისთვისაც უნდა გაითვალისწინონ ის პრინციპები და ნორმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში „ციხის ადმინისტრაციის მხრიდან სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრების მენეჯმენტის შესახებ“.

ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად, სასჯელის მოხდის 5 საწყისი წლის შემდეგ, სამუდამო პატიმრებს ეძლევათ ნება, იცხოვრონ დანარჩენ მსჯავრდებულებთან ერთად, თუ კარგად იქცეოდნენ და არ მიუღიათ დისციპლინური სასჯელი. თუმცა, პრაქტიკულად, სამუდამო პატიმართა მხოლოდ უმცირესი ნაწილი (სოფიის ციხეში 3 მსჯავრდებული 18-დან) ხვდება საერთო ნაკადში, ზოგიერთი კი – ცალკე ერთეულში მხოლოდ რამდენიმე წლის ცხოვრების შემდეგ. CPT მოუწოდებს ბულგარეთის ხელისუფლებებს, წარმატების გათვლით, მიმართონ „ექსპერიმენტს“ და ზოგიერთი სამუდამო მსჯავრდებული მოათავსონ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, რაც უნდა

ჩაითვალოს როგორც სათანადო ნაწილი ამ კატეგორიის პატიმართა მენეჯმენტისა და განმტკიცდეს შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებებით.

უფრო ზოგადად, CPT იძლევა რეკომენდაციას, რომ ბულგარეთის ხელისუფლებებმა განიხილონ არსებული სამართლებრივი დებულებები და პრაქტიკა სამუდამო პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, ზემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით“.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

25. განმცხადებელი ჩიოდა მისი თავისუფლების აღკვეთის რეჟიმისა და პირობების გამო სოფიის ციხეში. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

A. მხარეთა არგუმენტები

26. მთავრობა ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლის საკნის ზომა აღემატებოდა ჩვეულებრივ მინიმუმს. *Kröcher and Möller v. Switzerland* (no. 8463/78, Commission's report of 16 December 1982, Decisions and Reports (DR) 34, გვ. 24 (კომისიის 1982 წლის 16 დეკემბრის ანგარიში, გადაწყვეტილებები და ანგარიშები)) საქმეზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ზომები არ უტოლდება არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას. ეს ზომები იყო კანონიერი, ემყარებოდა ციხის მმართველის საფუძვლიან ბრძანებებს და სრულიად გამართლებულია განმცხადებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმით, მისი ქცევით და ციხეში წესრიგისა და დისციპლინის დაცვის საჭიროებით. არ იყო არანაირი ნიშანი იმისა, რომ განმცხადებელს დაეჩივლა ციხის ხელისუფლებასთან განსაკუთრებული ზომების გამო. არც არანაირი სამედიცინო დოკუმენტი არსებობს, რომელიც აჩვენებს, რომ მის ჯანმრთელობას მიაღდა რაიმე ზიანი ციხის რეჟიმის გამო.

27. განმცხადებელი აცხადებდა, რომ თვით მისი თავისუფლების აღკვეთის ფაქტი – რომელსაც თავად მიიჩნევს უსაფუძვლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით,

რადგან არის შედეგი უკანონო სისხლის სამართალწარმოების – უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. მას ფიზიკურ დისკომფორტს უქმნიდა ის, რომ მუდმივად ჩაკეტილი იყო თავის ცივ საკანში, ხელბორკილებს უკეთებდნენ მიზეზის გარეშე, არ რთავდნენ ნებას, ჩაეცვა ისე, როგორც მას სურდა, ან გამოეყენებინა თავისი პირადი ნივთები და ლოგინის თეთრეული, ოთახშივე ჰქონდა უნიტაზი, აჭმევდნენ შეზღუდული რაოდენობის არანოყიერ და არაჯანსაღ საკვებს და უზღუდავდნენ წყლის რაოდენობას. ამ დისკომფორტს აღრმავებდა ნეგატიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება იმით, რომ ხანგრძლივად იმყოფებოდა იზოლირებულად, უწევდა სერიოზულ კრიმინალებთან ურთიერთობა, ხელისუფლება და მედია მოიხსენიებდა როგორც კრიმინალს და დაატარებდნენ ხელისა და ფეხის ბორკილებით. იგი ეწინააღმდეგებოდა მის შეზღუდვასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ აქტს და დაადგინა, რომ არ მიიჩნევს თავს, როგორც პატიმრის სტატუსის მქონეს. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც ურთიერთობა უნდა ჰქონოდა სხვა მსჯავრდებულებთან ან მონაწილეობა მიეღო საერთო აქტივობებში მათთან ერთად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ თავისი პატიმრობის პირობების გამო არ ჩიოდა იმ მიზეზით, რომ ეს აზრს მოკლებულად მიაჩნდა. მას არ შეეძლო წარმოედგინა რაიმე სამედიცინო მტკიცებულება თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, რადგან ხელისუფლებები არასოდეს მისცემდნენ მას ასეთ მტკიცებულებას.

B. სასამართლოს შეფასება

28. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (a) პუნქტის მნიშვნელობით ან დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა გამოცხადდეს დაშვებულად.

1. ზოგადი პრინციპები

29. მე-3 მუხლით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები დაკავების პირობების გამოყენებასა და რეჟიმთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მტკიცდება სასამართლოს გადაწყვეტილებებით საქმეებზე: *Van der Ven v. the Netherlands* (no.

50901/99, §§ 46-51, ECHR 2003-II) და *Ramirez Sanchez v. France* ([GC], no. 59450/00, §§ 115-24, ECHR 2006-IX).

2. პრინციპების მისადაგება მოცემულ საქმესთან

30. სასამართლოს სურს განასხვავოს განმცხადებლის საჩივრის სამი ასპექტი: მისი დაკავების რეჟიმის ბუნება და სიმკაცრე, დაკავების მატერიალური პირობები და ხელბორკილების გამოყენება მის მიმართ. ამ ასპექტებს იგი განიხილავს ცალ-ცალკე.

(a) ფიზიკური პირობები

31. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი, თავისი მტკიცებულების დასაცავად – რომელიც განსაკუთრებით დეტალური არ არის და, როგორც ჩანს, არც რომელიმე ეროვნული სასამართლოს ყურადსაღებად წარუდგენია – არ წარმოადგენს არანაირ მტკიცებულებას მის დაკავებასთან დაკავშირებით. ის არ წარმოადგენს არც მასთან ერთად დაკავებულთა განცხადებებს (საწინააღმდეგოდ საქმეებისა *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, §§ 71 და 113, ECHR 2005-X (ამონარიდები), და *Gavazov v. Bulgaria*, no. 54659/00, §§ 59 და 94, 6 მარტი 2008) ან სხვა ადამიანთა განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონოდათ რელევანტური ინფორმაცია, როგორიცაა, ვთქვათ, ნათესავების ვიზიტი. არც სამედიცინო დადასტურება წარმოუდგენია იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენა მოახდინა მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე პირობებმა, რომლებშიც იმყოფებოდა (მსგავსად საქმისა *Georgiev v. Bulgaria*, no. 47823/99, § 64, 15 დეკემბერი 2005, და საწინააღმდეგოდ საქმისა *Staykov v. Bulgaria*, no. 49438/99, § 41, 12 ოქტომბერი 2006). განსაკუთრებულ გარემოებებში, სასამართლომ განმცხადებლის მტკიცებები უნდა განიხილოს მომეტებული სიფრთხილით, რადგან მას შეიძლება ახასიათებდეს გადაჭარბების ტენდენცია ციხეში პირობების არაადეკვატურობის შეფასებისას იმიტომ, რომ იმთავითვე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმ დაწესებულების მიმართ, რომელშიც, მისი აზრით, არასოდეს უნდა დაპატიმრებულიყო (იხ. *mutatis mutandis*, *Sabeva v. Bulgaria*, no. 44290/07, § 41, 10 ივნისი 2010, ციტატა საქმიდან *B. v. the United Kingdom*, no. 6870/75, Commission's report of 7 October 1981 (კომისიის 1981 წლის 7 ოქტომბრის ანგარიში), DR 32, p. 29, §§ 174-75). ეს მტკიცებები არ მიესადაგება 2006 და 2008 წლების CPT-ს ანგარიშში წარმოდგენილ ფაქტებს, რომელთა თანახმადაც, სოფიის ციხეში ვიზიტის პერიოდში სამუდამო

პატიმრების საკნებში შიგნით იყო მოთავსებული სან.კვანძები, შხაპი და მუდმივი ცხელი წყალი (იხ. ზემოთ, პუნქტები 24 და 25). თუნდაც გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე, 1997 წელს, უფრო უარესი პირობები იყო, სასამართლოს გაუჭირდება არ შენიშნოს მათი თანდათანობითი გაუმჯობესება.

32. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო არ არის დარწმუნებული „გონივრულ ეჭვს მიღმა“, რომ სოფიის ციხეში განმცხადებლის დაკავების პირობები შეიძლება განიხილებოდეს როგორც არაადამიანური ან ღირსების შემლახველი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, არ არის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

(b) პატიმრობის რეჟიმი

33. პიროვნების თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები, როგორცაა წინასწარი პატიმრობა ან პატიმრობის მისჯა, მართალია, იმთავითვე შეიცავს ზიანის ელემენტს, მაგრამ არ აყენებს მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს (იხ. *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 93, ECHR 2000-XI). პატიმრობის რეჟიმი, რომელიც განმცხადებელს განუსაზღვრეს სოფიის ციხეში მოთავსების შემდეგ, ეფუძნებოდა ციხის მმართველის ბრძანებას, გაცემულს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და საგამომძიებო ხელისუფლებების მიერ განმცხადებლის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 14). მას შემდეგ, რაც განმცხადებლის განაჩენი გახდა საბოლოო, მისი პატიმრობის რეჟიმი დაეფუძნა სასამართლოს ბრძანებას, რომელიც შეადგინეს გამოყენებული დებულებების შესაბამისად (იხ. ზემოთ, პუნქტები 12 და 21). არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ გადაწყვეტილება ჩაითვალოს დაუსაბუთებლად. სასამართლო შენიშნავს, რომ CPT კრიტიკულად მოეკიდა დადგენილ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს სამუდამო პატიმრების მოთავსებას „განსაკუთრებული რეჟიმის“ ქვეშ, მათი თავისუფლების აღკვეთის პირველი ხუთი წლის განმავლობაში (იხ. ზემოთ, პუნქტები 21, 22 და 25). თუმცა, იმ საკითხის გარკვევა, დაექვემდებარა თუ არა განმცხადებელი მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოპყრობას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომამდე დაზარალდა ის ამ რეჟიმით (იხ. *Van der Ven*, ციტირებული ზემოთ, § 53 *in fine*). მართლაც, ცალკეული განაცხადების შემთხვევაში, სასამართლო, როგორც წესი, უნდა ფოკუსირდეს არა კანონმდებლობაზე, როგორც ასეთზე, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენეს ეს კანონმდებლობა განმცხადებლის მიმართ (იხ. სხვა ხელისუფლებებთან ერთად, *Sommerfeld v. Germany* [GC], no. 31871/96, § 86, ECHR 2003-VIII).

34. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლისათვის სოფიის ციხეში დაწესებული შეზღუდვები შეიძლება აღიწეროს როგორც სასტიკი, ის იყო არა სენსორულ ან სრულ სოციალურ იზოლაციაში, არამედ ზომიერად სოციალურ იზოლაციაში, როცა მას ეკრძალებოდა კომუნიკაცია პატიმრებთან, რომლებიც განსხვავებულ რეჟიმში იმყოფებოდნენ. ამდენად, მართალია, მისი კონტაქტის შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ ვერავინ ისაუბრებს იზოლაციაზე ამ კონტექსტში (იხ. *Messina v. Italy* (no. 2) (dec.), no. 25498/94, ECHR 1999-V). მართალია ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მტკიცებით, თავისუფლების აღკვეთის ადრეულ პერიოდში იგი, დაახლოებით, 23 საათს მართო ატარებდა თავის საკანში. თუმცა, შეუძლებელია სასამართლომ არ შენიშნოს, რომ ბოლო წლებში მისი მდგომარეობა თანდათანობით უფრო მოქნილი გახდა (და ეს CPT-ს ანგარიშებიდანაც ჩანს) – მიეცა შესაძლებლობა, ჩართულიყო სხვადასხვა აქტივობაში და ურთიერთობა ჰქონოდა სხვა პატიმრებთან მისი ჯგუფიდან. თუმცა, როგორც ჩანს, მას არ ჰქონია ამის სურვილი (იხ. ზემოთ, პუნქტები 16 და 28 და შეადარე საქმესთან, *mutatis mutandis*, *Ramirez Sanchez*, ციტირებულია ზემოთ, §148). ამ გარემოებებში, და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია არანაირი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც აჩვენებდა რეჟიმის გავლენას მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (*Van der Ven-ის საქმის საწინააღმდეგოდ*, ციტირებულია ზემოთ, § 56), სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ამან იმ ზომის ზიანი მიაყენა მას, საკმარისი იყოს მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად. გარდა ამისა, არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ მას ოდესმე აუკრძალეს ვიზიტორების მიღება (განსხვავებით *Van der Ven-ის საქმისაგან*, ციტირებულია ზემოთ, § 54) ან ციხის ბიბლიოთეკით სარგებლობა.
35. ამას გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, სასჯელის მოხდის 5 წლის შემდეგ, განმცხადებელს შეეძლო მოეთხოვა ნაკლებად მკაცრ რეჟიმზე გადაყვანა (იხ. ზემოთ, პუნქტი 22). არ არის არანაირი მინიშნება იმაზე, რომ მან ისარგებლა ამ შესაძლებლობით.
36. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის წინაშე არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი იმ დასკვნისათვის, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას მისი პატიმრობის რეჟიმიდან გამომდინარე. ამდენად, მე-3 მუხლი არ დარღვეულა ამ თვალსაზრისით.

(c) ხელბორკილების გამოყენება

37. ხელბორკილების ან მოძრაობის შემზღუდველი სხვა ინსტრუმენტების გამოყენება, ჩვეულებრივ, არ წარმოშობს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, როცა ეს ღონისძიება გამოიყენება კანონიერი დაკავებისათვის და არ ახლავს გადამეტებული ძალის გამოყენება – ვიდრე ეს ჩაითვლებოდა გონივრულად აუცილებლად – ან ეს არ ხდება სხვების თვალწინ. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საფრთხე პირის მიმალვისა ან ზიანის თუ ზარალის მიყენებისა (იხ. *Raninen v. Finland*, 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 56, *Reports of Judgments and Decisions* 1997-VIII; *Mouisel v. France*, no. 67263/01, § 47, ECHR 2002-IX; *Hénaf v. France*, no. 65436/01, § 48, ECHR 2003-XI; და *Mathew v. the Netherlands*, no. 24919/03, § 180, ECHR 2005-IX). სასამართლომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს საქმის განსაკუთრებული გარემოებები (იხ. *Avci and Others v. Turkey*, no. 70417/01, § 38, 27 ივნისი 2006).

38. განმცხადებლის განაჩენის სიმძიმის, წარსულში ნასამართლეობისა და ძალადობრივი წარსულის გათვალისწინებით, ხელბორკილების დადება შეიძლება გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებებით, როგორიცაა გაყვანა ციხის გარეთ (იხ. *Garriguenc v. France* (dec.), no. 21148/02, 15 ნოემბერი 2007, და *A.J.P. v. France*, no. 17020/05, § 95, 29 ოქტომბერი 2009). თუმცა, CPT-ს ანგარიში, რომელიც სრულად ადასტურებს განმცხადებლის მტკიცებებს ამ თვალსაზრისით, აჩვენებს, რომ მას ნამდვილად ადებდნენ ხელბორკილებს ყოველ ჯერზე, როცა კი გამოჰყავდათ თავისი საკნიდან, ყოველდღიური სეირნობის დროსაც კი (იხ. ზემოთ, პუნქტები 24 და 25). სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს ციხის ხელისუფლების მხრიდან გამოხატულ შიშს განმცხადებლის ქცევის გამო და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი რისკის მათეულ შეფასებას (იხ. ზემოთ, პუნქტი 16). მისთვის ცნობილია, რომ ამ ხელისუფლებებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, როცა საქმე აქვთ ინდივიდებთან, რომლებიც მსჯავრს იხდიან ძალადობრივი დანაშაულისათვის, უარს ამბობენ, მიიღონ თავიანთი პატიმრობის ფაქტი და, აქედან გამომდინარე, არიან მტრულად განწყობილნი ციხის პერსონალისა და სხვა თანამესაკნეების მიმართ. თუმცა, იგი შენიშნავს, რომ ხელბორკილების სისტემატური გამოყენება განმცხადებლის მიმართ დაიწყო ცამეტი წლის წინათ, 1997 წლის დეკემბერში, და დღემდე გრძელდება. ხელისუფლება არ აღნიშნავს რაიმე განსაკუთრებულ ინციდენტს ამ ხნის განმავლობაში, როცა განმცხადებელი შეეცდებოდა გაქცევას ან საკუთარი თავისა თუ სხვების დაზიანებას. ის მომენტები, რომლებსაც ხელისუფლება იხსენებს, სასამართლოსათვის აუცილებლად არ აჩვენებს, რომ არსებობს ამგვარი ინციდენტის წარმოშობის რისკი. იგი იზიარებს CPT-ს თვალსაზრისს, რომ მსჯავრდებულისათვის ხელბორკილების დადების მიღებული პრაქტიკა

უსაფრთხო გარემოში არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად (იხ. ზემოთ, პუნქტი 25).

39. სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლისათვის ხელბორკილების დადება ყოველ ჯერზე, როცა ის გაჰყავდათ საკნიდან, იყო დასაბუთებას მოკლებული ზომა და, ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს ღირსების შემლახველ მოპყრობად. ამრიგად, ამ თვალსაზრისით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

40. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო არაგონივრული. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს, რომელიც იკითხება შემდეგნაირად:

„...ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში საქმის ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...“

41. მხარეებმა წარმოადგინეს არგუმენტები განხილვის პერიოდის დასაწყისსა და დასასრულთან და მის გონივრულობასთან დაკავშირებით.

42. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (a) ქვეპუნქტის მნიშვნელობით ან დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა გამოცხადდეს დაშვებულად.

43. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი დააკავეს 1996 წლის 5 აგვისტოს. იგი ამ თარიღს მიიჩნევს განხილვის პერიოდის დასაწყისად (იხ. *Ewing v. the United Kingdom*, no. 11224/84, Commission's report of 6 October 1987, (კომისიის 1987 წლის 6 ოქტომბრის ანგარიში), DR 56, p. 71, at pp. 84-85, § 145). დასასრული 2004 წლის 6 ოქტომბერია, როცა სოფიის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება გახდა საბოლოო. ამდენად, განხილვის პერიოდმა შეადგინა რვა წელიწადი და, დაახლოებით, სამი თვე.

44. ამ პერიოდის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების შუქზე და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკვანძო კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის კომპლექსურობა, განმცხადებლის ქცევა და შესაბამისი

ხელისუფლებების ქცევა (იხ. *Yankov and Manchev v. Bulgaria*, nos. 27207/04 და 15614/05, § 20, 22 ოქტომბერი 2009).

45. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საკმარისად კომპლექსურია, რადგან მასში ჩართულია რამდენიმე ბრალდებული, თანაც მნიშვნელოვანი სიმძიმის რამდენიმე დანაშაულისათვის. თუმცა, იყო გადაცილებები, გამომდინარე ხელისუფლებიდან, რაც არ შეიძლება მთლიანად აიხსნას ამით. ჯერ ერთი, წინასწარმა გამოძიებამ წაიღო, დაახლოებით, ორწელიწად-ნახევარი (იხ. ზემოთ, პუნქტები 6-8), მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ სოფიის საქალაქო სასამართლომ შეძლო საქმე განეხილა, დაახლოებით, წელიწად-ნახევარში, პირველმა სამართალწარმოებამ სოფიის სააპელაციო სასამართლოში გასტანა თითქმის სამ წელიწადს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ სასამართლომ არ გამოიტანა განაჩენი ბოლო მოსმენის შემდეგ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. პუნქტები 9-12).
46. ამ მომენტებისა და სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის ბრალდებები არ განისაზღვრა „გონივრულ ვადაში“, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

47. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება მის მიმართ სამართალწარმოების გადამეტებულ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც იკითხება შემდეგნაირად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

48. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (a) ქვეპუნქტის მნიშვნელობით ან

დაუშვებელი რომელიმე სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა ჩაითვალოს დასაშვებად.

49. მე-13 მუხლი გარანტირებულს ხდის სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას სადავო საჩივართან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების დარღვევას, განეხილათ საქმე გონივრულ ვადებში (იხ. *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, §§ 146-57, ECHR 2000-XI). სამართლიანი დაცვის საშუალება ეფექტიანია, თუ ის თავიდან იცილებს სავარაუდო დარღვევას ან მის გაგრძელებას, ან უზრუნველყოფს ნებისმიერი დარღვევის სათანადო გამოსწორებას, თუ ის უკვე მოხდა (ibid. § 158, და *Mifsud v. France* (dec.) [GC], no. 57220/00, ECHR 2002-VIII).

50. 2003 წლამდე ბულგარეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ისეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებულ პირებს, დაექარებინათ მათ მიმართ ბრალდების განსაზღვრა. 2003 წლის ივნისში შეიტანეს ცვლილება, რამაც შესაძლებლობა მისცა ბრალდებულს, მოეთხოვა მისი საქმის სასამართლოს წინაშე წარდგენა, თუ მისი წინასწარი გამოძიება არ იქნებოდა დასრულებული გარკვეულ დროში (იხ: ზემოხსენებული *Yankov and Manchev*-ის საქმე, § 32, შემდგომი მინიშნებებით). თუმცა, ეს შეიძლება არ შეხებოდა განმცხადებელს, რადგან იმ დროისათვის მისი საქმე უკვე ელოდა განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

51. ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

52. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„Tu sasamarTlo daadgens, rom dairva konvencia da misi oqmebi, xolo Sesabamisi maRali xelSemkvreli mxaris Sidasaxelmwifoebrivi samarTali darRvevis mxolod nawilobrivi gamosworebis SesaZleblobas iZleva, saWiroebis SemTxvevaSi, sasamarTlo dazaralebul mxares samarTlian dakmayofilebas miakuTvnebs.”

A. ზიანი

53. მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, განმცხადებელი ითხოვდა 2,000,000 ევროს. ის აგრეთვე ითხოვდა 60,000 ევროს მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მოიცავდა სამი დაკარგული მანქანის ღირებულებას,

ხელისუფლებებმა რომ ჩამოართვეს მის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. დაბოლოს, მან მოსთხოვა სასამართლოს, ებრძანებინა ბულგარეთის სახელმწიფოსათვის, შეეწყვიტა მისი „უკანონო პატიმრობა“.

54. მთავრობამ ეს მოთხოვნები შეაფასა როგორც გადაჭარბებული და უსაფუძვლო.
55. სასამართლო ითვალისწინებს, რომ წინამდებარე საქმეში სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ კონვენციის მე-3, მე-6, §1, და მე-13 მუხლების დარღვევას. ის არ მიიჩნევს, რომ საკმარისი მიზეზობრივი კავშირია ამ დარღვევებსა და განმცხადებლის მიერ განცდილ მატერიალურ ზიანს შორის. არც აუცილებლად ან სათანადოდ თვლის მნიშვნელოვანი ანაზღაურების მინიჭებას მის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად (*Assanidze v. Georgia* [GC] საქმისაგან განსხვავებით, no. 71503/01, §§ 202-03, ECHR 2004-II). მეორე მხრივ, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა უნდა მიიღოს ანაზღაურება მორალური ზიანისათვის, რაც მოჰყვა ზემოაღნიშნული დებულებებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას. იმსჯელა რა თანასწორობის საფუძველზე, როგორც ამას მოითხოვს 41-ე მუხლი, იგი აკუთვნებს მას 7,000 ევროს, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს თანხა.

B. ხარჯები და დანახარჯები

56. განმცხადებელი ითხოვდა 3,000 ბულგარული ლევის (BGN) ანაზღაურებას, რისი გადახდაც მოუხდა მის წინააღმდეგ გამართულ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, და იმ თანხის ანაზღაურებას, რომელიც გადაიხადა თარგმანებში სასამართლო საქმისწარმოებისათვის. მან წარმოადგინა თარგმნის ქვითრები 65 BGN-ს ოდენობით (33,23 ევროს ექვივალენტი).
57. მთავრობამ ეს მოთხოვნა მიიჩნია გადამეტებულად და არ ჩათვალა გამყარებულად შესაბამისი დოკუმენტებით.
58. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, 41-ე მუხლის საფუძველზე, ხარჯები და გაწეული დანახარჯები არ ანაზღაურდება, თუ არ დადგინდა, რომ ისინი გაღებულია რეალურად და აუცილებლობიდან გამომდინარე და თავისი მოცულობით გონივრულად. გარდა ამისა, სასამართლოს ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკავშირდება

აღმოჩენილ დარღვევას (იხ.*Šilih v. Slovenia* [GC], no. 71463/01, § 226, 9 აპრილი 2009). რამდენადაც მოთხოვნილი სასამართლოს ხარჯები უკავშირდება განმცხადებლის დაცვას მის მიმართ წარდგენილ სისხლის სამართლებრივ ბრალდებათა წინააღმდეგ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოებისას, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლობიდან გამომდინარე ხარჯებად, რომლებიც გაღებულია წინამდებარე საქმეში დარღვევების აღმოსაჩენად (იხ.*Nikolova v. Bulgaria* [GC], no. 31195/96, § 79, ECHR 1999-II). მეორე მხრივ, მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ თარგმნის ხარჯები (33,23 ევრო) მთლიანად უნდა ანაზღაურდეს.

C. საურავი

59. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით და ამას დაემატოს სამი პროცენტი.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად:

1. გამოაცხადა განაცხადის დარჩენილი ნაწილი დაშვებულად;
2. დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა განმცხადებლის პატიმრობის ფიზიკურ პირობებთან მიმართებით;
3. დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა განმცხადებლის პატიმრობის რეჟიმთან მიმართებით;
4. დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი – განმცხადებლისთვის ხელბორკილების დადების თვალსაზრისით – ყოველ ჯერზე, როცა ის გამოყავდათ საკნიდან;

5. დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი, განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობის თვალსაზრისით;

6. დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი;

7. დაადგინა

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 თვეში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები ბულგარულ ლევში:

(i) მორალური ზიანისათვის 7,000 ევრო (შვიდი ათასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს თანხა;

(ii) 33,23 ევრო (ოცდაცამეტი ევრო და ოცდასამი ცენტი), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს თანხა;

(b) რომ ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე, თანხა, ზემოთ მოყვანილი რაოდენობით, გადახდილი უნდა იყოს ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის ტოლად, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი;

8. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და გაცხადებულია წერილობითი სახით 2011 წლის 20 იანვარს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი

პიერ ლორენცენი

რეგისტრატორი

პრეზიდენტი

